№ 13

სამშაბათი, 20 იანვარი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 13

სამშაბათი, 20 იანვარი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 8 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 9 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 22 იანვარს,

**ბენეფისი ეფ. ს. მესხისა**

პირველად ახალი პიესა

## ადრიენა ლეკუვრერ

შირკული აქტრისა საფრანგეთის თეატრისა
დრამა 5 მოქმედებათ, სკრიბისა და ლეგუვესი თარგ. დ. ს. მესხისა
ადრიენა ლეკუვრერის როლს შეასრულებს **ე. ს. მესხისა**
მიშონე, რეჟისორისას—ბ ნი კ. ს. მესხი

II

## არც აქეთ არც იქით

ვოდ. ერთ მოქმ. გადმ. ვ. გუნიას მიერ. ვ. აბაშიძის მონაწილეობით
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **კ. მესხი.**

აღმასრულებელი ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთა წინამძღოლის თანამდებობისა აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას,

რომ 25 **იანვარს**, დილის 10 საათზედ, შესდგება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

**საგანგებო კრება**

და სთხოვს მობრძანდნენ ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სადგომში ამ კრებაზედ დასასწრებლად. კრებამ უნდა განიხილოს ის ადრესი, რომელიც უნდა მიერთვას ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატორს ერთგულ-ქვეშევრდომულ გრძნობათა განსაცხადებლად.

ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი საგინაშვილი.

(3—6.—2)

ტფილისი, 19 იანვარი

თ. გ. თუმანოვი თავისს გაზეთში *) ამბობს: „თ. ი. გ. ჭავჭავაძე და მისი უმთავრესი თანამშრომელი ახნაზაროვი სომხის ჩამომავლობისანი არიან. როცა ეგენი ჰლაპარაკობენ ქართველთა საქმეებზე, არ ეშინიანთ შესწამონ ქართველის ძულება და როცა თ. გ. თუმანოვი ხმას იღებს ამავე საგანზე, იგი-კი დაუძინებელი მტერი გამოდის ქართველებისათ. ლოღიკავ, სადა ხარო!“ ამ ძახილით ათავებს თ. გ. თუმანოვი თავისს ლათაიას.

რომ თ. გ. თუმანოვს დიდი ხანია შემოსწყრომია ლოღიკა—ეს ახალი ამბავი არ არის. ახალი მარტო ის არის, რომ ეხლა დაუნახავს საჭიროდ მონახოს დაკარგული ლოღიკა და სასოწარკვეთილებით ჰყვირის: ლოღიკავ, სადა ხარო. ჩვენ ამ ყვირილზე მოვახსენებთ, რომ ლოღიკა სწორედ იქ არის, საცა არ არის თ. გ. თუმანოვი.

ჩვენ თ. გ. თუმანოვს იმას-კი არ ვუწუნებთ, რომ იგი სომეხია. ჩვენ ვამტობთ, რომ იგი ორ-პირი კაცია, რომ იგი ჩვენთან ჰკაკანებს და კვერცხს-კი სხვაგან ეზიდება. თუ რაც აქამდე გვითქვამს საკმაო საბუთი არ არის ამ ორ-პირობისა, ნურას უკაცრაოდ, თუ რამდენსამე საბუთს კიდევ მოვაგონებთ.

ჩვენის სატახტო ქალაქის საბჭოში ქართველი თითქმის ერთიც არ გააჭაჭანეს. თ. გ. თუმანოვი, რომელიც ასე გულ ტკბილად გვიქადაგებდა და გვიქადაგებს ძმობასა და ერთობას, როგორ მოიქცა? იმან არამც თუ ამაში არ დაინახა გატეხა ძმობისა და ერთობისა, არამედ თავისის საქციელით ბეჭედიც დაჰკრა. სხვა, მართლის გულით მქადაგებელი ძმობისა და ერთობისა, ამისთანა საბჭოს ზურგს შეაქცევდა, არც კი მიეკარებოდა და ნამდვილი „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“ ეს იქნებოდა. მაგრამ თ. გ. თუმანოვისათვის საქმე სხვაა, სიტყვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი. მიიღო ხმოსნობა ამ ძმურად შემდგარ საბჭოში და მოიფხანა გული წინააღმდეგ თავისის სიტყვისა. ამასაც არ დასჯერდა: მოურავობაც კი მოეწყურა ამისთანა ძმურად შემდგარ კრებულისა. ეხლა გვითხარით: სხვას რას ეძახით ორ პირობას? ძმობის გამტეხთა შორის ჯდომა და მეთაურობა, ესე იგი, მოურავობა, განა ორ-პირობა არ არის იმის მხრით, ვინც ძმობისა და ერთობის იავ-ნანას გვიგალობს ყოველ დღე?

ტფილისი არც დღეს არის თქვენი და არც ოდესმე ყოფილაო და ამის დასამტკიცებლად მითამდა ისტორიული საბუთებიც წარუდგინა თავისს ამქარს. მართალია, კვირანდელ თავისს გაზეთში **) ამაზე ცხელ-ცხელი აშა ჰკრა და საბუთად მოიყვანა, რომ „Новое Обозрѣніе“-ს № 4547 ჩვენა ვთქვითო, რომ „როგორც პეტერბურგს არ ეთქმის, რომ ნემეცების ქალაქია, ისეც ტფილისს სომხების ქალაქიაო.“ მართალია № 4547 ესა სთქვა, მაგრამ თ. გ. თუმანოვს ჰგონია სხვებსაც ისეთი მოკლე ხსოვნა აქვთ, როგორც მას თვითონ. აი იგი რას ამბობდა წინად ამავე საგანზე (Нов. Обозр. № 4533): „1701 წ. ტურნეფორი სწერსო: ტფილისში თითქმის 20,000 მკვიდრია, ამათში 14,000 სომეხი, 3,000 მუსლემანი, 2,000 (?!) ქართველი და 500 რომის-კათოლიკენიო. აი რასა ვკითხულობთ ვლადიკინის წიგნშიო: 1803 წ. 2700 სახლიდამ ტფილისში 2681 სომხებს ეკუთნოდა. თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ნამდვილი-კია, რომ სატახტო ქალაქი მაშინ შეადგენდა მთლად სომხის საკუთრებასა. აი რას გვეუბნება იმისთანა კავკასიის მცოდნე კაცი, როგორიც ბ-ნი ვეიდენბაუმიაო, განაგრძობს თ. გ. თუმანოვის გაზეთი და მოჰყავს მისი სიტყვებიც: „ეტნოგრაფიის მიხედვით ტფილისი არის და, მგონია, ძველთა დროთაგანვე ყოფილა სომხის ქალაქიო“.

ხსენებულ საბუთების გაძლიერებისათვის თ. გ. თუმანოვის გაზეთი წარბ-შეუხრელად ამასაც უმატებს: „ГЛАВНЫМЪ ЛИЦОМЪ, როგორც ეტყობა, „მელიქი“ ყოფილა ტფილისშიო“ (№ 4533). რასაკვირველია, „მელიქი“ და არა საქართველოს მეფე!.. ჩვენ-კი გვეგონა, რომ ქართველების სატახტო ქალაქში საქართველოს მეფე იქნებოდა ГЛАВНОЕ ЛИЦО და არა „მელიქი“ და რადგანაც „მელიქი“ ყოფილა, გამოდის, რომ პოლიტიკურადაც ტფილისი სომხებისა ყოფილა.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ნუ-თუ იმას, რასაც დღეს თ. გ. თუმანოვი იძახის? საბუთები მოჰყავს, რომ ტფილისი ყოფილა და არის სომხის ქალაქი, გვეუბნება, ხუმრობა არ არის, ამას გვემოწმება კავკასიის დიდი მცოდნე კაციო, ამასთან იმასაც გვარწმუნებს, რომ ტფილისში სომხებს „მელიქის“ სახელით თითქმის თავისი მეფეც ჰყოლიათ და ეხლა-კი გვეფიცება: „როგორც პეტერბურგი ნემეცებისა არ არის, ისეც ტფილისი სომხისაო“.

ერთი ჰკითხეთ, რად იხარჯებოდა და ესეთი პირდაპირ დაუჯერებელი საბუთები წამოგვიშალა, თუ მართლა ეგრეა? გაგონილა!.. 1701 წ. 20,000 მკვიდრთა შორის ქართველები მარტო 2000 ყოფილან, თათრებზედაცკი ნაკლები, სომხებზედ ხომ რაღა თქმა უნდა. 1803 წ. 2700 სახლში მარტო 19 სახლი ქართველებისა იყოვო ტფილისში!.. 19 სახლი ხომ მარტო მეფეების თავლასაც არ ეყოფოდა, რაც გინდ ღარიბნი ყოფილიყვნენ. ის ლოღიკა, რომელსაც დღეს თ. გ. თუმანოვი ასე თმა გლეჯით გაჰკივის, „სადა ხარო“, მართლა სად იყო, რომ ეს სასაცილოდ ასაგდები ციფირები დაიჯერა და სხვასაც დასაჯერად მიართვა? ორ-პირობა არ არის, მაშ სხვა რა ჯანაბაა! კაცი გუშინ იჭაჭებოდა იმისათვის, რომ დაამტკიცოს ტფილისი სომხებისა ყოფილა და არისო და დღეს-კი გვეფიცება, „როგორც პეტერბურგი ნემეცებისა არ არის, ისეც ტფილისი სომხებისაო“. ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“ განა? ორპირობა სხვა რაღაა!

სულ ერთი კვირა არ არის, რაც ასი წელიწადი შესრულდა მეფე ერეკლეს გარდაცვალების დღიდამ. ქართველობამ ეს ღვაწლით მოსილი თავისი მეფე გაიხსენა, პანაშვიდი გადაუხადა, შეავედრა ღმერთს სული მისი, სანთელი დაუნთო, საკმელი უკმია ლოცვითა და კურთხევითა. ყველა თესლისა და ხარისხის კაცმა პატივი სცა საქართველოს სახელოვან მეფის სახელს და მარტო თ. გ. თუმანოვის ამქრის წარმომადგენლებმა ცხვირი ზევით აიწიეს, აინუნშიაც არ გაიტარეს. ახალ ისპანახის ბაზარში შემოტანის ამბავს უფრო მეტის პატივით მოეპყრობოდნენ დედა ბუდიანად, ვიდრე ამ ჩვენს საპატიო დღეს მოექცნენ. ეს ამბავი სამართლიანის გულის წყრომით და რისხვით შენიშნა ყველამ და თ. გ. თუმანოვმა აქაც თავისებურად მოიქნია კუდი. ჯერ ხომ დიდებით მოიხსენია მეფე ერეკლე, ფრიდრიხ მეორის მიერ ქება, დიდებაც-კი ამ მეფისა აუწყა თავისს მკითხველებს, მერე-კი სარჩლი და ქომაგობა დაუწყო თავისის ამქრის თვით-მართველობას, ვერ შეიტყეს, ვერ გაიგესო და სხვა ამისთანა. მითამ ჰნანობს კიდეც, რომ ეს ასე ფათერაკსავით მოხდა, მითამ სწუხს კიდეც, და ბოლოს რაც გულში ედვა, ვეღარ მოითმინა და თავისს გაზეთს წამოაროშვინა,—მართალია ჩვენცა ვწუხვართ, რომ მეფე ერეკლის სახსენებელ დღეს ასე უპატიურად მოექცა ჩემის ამქრის თვით-მართველობა, მაგრამ „დროა დავივიწყოთ წვრილმანი ანგარიშებიო“. რომელი ანგარიშებია „წვრილმანი“? აშკარაა, სხვათა შორის ისიც, რის გამოც საჭიროდ დაუნახავს ამისი თქმა. აშკარაა, ეს მეფის ერეკლეს სახსენებელი დღე რომ არაფრად ჩააგდეს, ეს ღვაწლ-მოსილი მეფე რომ არ მოიხსენიეს, როცა დიდი და პატარა აქ, მათ თვალთა წინ იხსენიებდა, „წვრილმანი“ ყოფილა, იმისთანა „წვრილმანი“, რომ დავიწყებას უნდა მიეცეს. თუ მეფე ერეკლე იმისთანა სახელოვანი და ღვაწლმოსილი მეფე ყოფილა, რომ, თ. გ. თუმანოვის სიტყვით, თვით ფრიდრიხ დიდსაც-კი დიდის პატივით უხსენებია, მისი არ-ხსენება აქ, ტფილისში, მისს სატახტო ქალაქში რად უნდა იყოს „წვრილმანი“ და არა სხვილმანი ამბავი?

ორში ერთი: ან მეფე ერეკლე ღირს-სახსენებელია და მისი ხსენება სხვილმანი ამბავია, ან სახსენებელი არ არის და მისი არ ხსენება „წვრილმანი“ საქმეა, არაფრად ჩასაგდები. ან ერთი სთქვით, ან მეორე. მესამეც შესაძლოა ითქვას, თუ ვისმე ხალისი აქვს თუნდ ერთს წუთს თ. გ. თუმანოვად გადაიქცეს. მაგალითებრ, მეფე ერეკლე დიდი სახელოვანი კაცი იყო, თვით ფრიდრიხ დიდმაც ევროპაში გასთქვა მისი სახელი და ხსენება-კი მისი, იმავ სახელ-განთქმულ მეფისა „წვრილმანი“ ამბავია. სწორედ ეს მესამე სთქვა თ. გ. თუმანოვმა. ეს რა არის, თუ არ ორ-პირობა?

ზოგი იტყვის,—ეს უგზო-უკვლოდ ტანტალია ჰკუისაო. იქნება ესეც იყოს და თუ ესეა, მართალია თ. გ. თუმანოვი, რომ საჭიროდ დაუნახავს მოიკითხოს: ლოღიკავ, სადა ხარო.

მაშ დავუჯეროთ რაღა თ. გ. თუმანოვს!.. დავივიწყოთ, რომ ჩვენმა საყვარელმა ძმებმა საუფროსოში აიღეს და დაიჩემეს ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი, დავივიწყოთ, რომ ჩვენის დედა-ქალაქის საბჭოში ქართველი აღარ გააჭაჭანეს, დავივიწყოთ, რომ აქ, ტფილისში, ჩვენი მეფე-კი არ ყოფილა მეფედ, არამედ იმათი „მელიქი“, დავივიწყოთ, რომ ჩვენი სახელოვანი მეფე ერეკლე არაფრად ჩააგდეს. ეს სულ ყველა „წვრილმანი ანგარიშებია“ ჩვენის კეთილის მყოფელის თ. გ. თუმანოვის სიტყვით. დავივიწყოთ ეს „წვრილმანი ანგარიშები“, დავიძინოთ ტკბილის ძილითა და თ. გ. თუმანოვი გვეტყვის იავ-ნანას ძმობისას და ერთობისას თავისის სირინოზის ხმით და ეს განა არა კმარა!..

(*) იხ „ნოვ. ობ.“ № 48).

**) იხ. „ნოვ. ობ.“ № 4824.

## მთავრობის განკარგულებანი

1897 წლის 13 მაისს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალურ წესდების საფუძველით გუბერნიის მთავრობამ ნება დართო დაარსდეს „მაჩხაანის მომხმარებელთა საზოგადოება“ ტფილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო-მაჩხაანში.

## ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ნიკოლოზ ხახუტაშვილი კავკასიის სტიპენდიანტად იქმნა დანიშნული.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა წარუდგინა კავკასიის უმაღლესს მთავრობას ახალი პროექტი ტფილისის პოლიციის შტატის გამრავლების შესახებ. პროექტით, პოლიციას უნდა მიემატოს 10 პოლიციის მოხელე და 120 პოლიციელი. ამის გარდა, უნდა დაწესდეს პოლიცმეისტერის მეორე თანაშემწისა და საბაშფორთო სტოლის ერთის უფროსის თანამდებობანი. საჭირო ხარჯი, 32 ათასი მანეთი, პროექტის ძალით ქალაქს უნდა დაეკისროს.

⁂ 1897 წელს ტფილისისა და ამიერ-კავკასიის სხვა ადგილების მცხოვრებელთ მიჰმართეს მათ იმპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატორებითი უდიდებულესობას იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულს, როდესაც იგი კავკასიაში ბრძანდებოდა, და ფულად შემწეობა სთხოვეს. მთხოვნელთა რიცხვი 400-მდე იყო. მათ უდიდებულესობას ამ მთხოვნელთა დასაკმაყოფილებლად 3000 მან. გადაუდვია. ამ ფულს ამ საქმისათვის განგებ შემდგარი კომისია გაანაწილებს.

⁂ ტფილისის ალექსანდრეს სამოსწავლო ინსტიტუტის საპატიო მზრუნველმა ბ-ნმა შამსი ასადულაევმა გადასცა ინსტიტუტის კასსას 4,160 მანეთი: 2,000 მანეთი შესწირა ინსტიტუტის საჭიროებისათვის, ხოლო დანარჩენი 2,160 მანეთი შეიტანა როგორც მზრუნველის გარდასახადი, ამ თავითვე 1898—1900 წლებისა.

⁂ გუშინ-წინ, 18 იანვარს, საპოლიტეხნიკუმო კომისიამ კრებაზედ დაადგინა: 1, მიჰმართოს კავკასიის ქალაქებს და დაწესებულებას და ჰკითხოს, რა დახმარებას აღმოუჩენენ პოლიტეხნიკუმს, თუ იგი ტფილისში იქმნება დაარსებული, და 2, პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ შეწირულების შეკრების ნება რთვა აიღოს მთავრობისაგან.

⁂ ქუთაისის გუბერნიაში, საქარის სანერგეს შემწეობით, ამერიკის ვაზი თანდათან უფრო ვრცელდება. განსაკუთრებით გლეხ-კაცობა ეტანება ამერიკის ვაზს. 260 კაცთა შორის, რომელთაც შარშან 1897 წელს ამერიკის ვაზის ნამყენი გაიტანეს სანერგედგან, 75°/o-ს გლეხობა შეადგენდა. ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში უკვე 400 ვენახია ამერიკის ვაზით გაშენებული. ამა წლის პირველ იანვრამდე 298 კაცმა დაიკვეთა 296,145 ამერიკული ვაზის ნამყენი.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საჭიროდ უცვნია განსაკუთრებული შენობები იქმნან აგებულნი ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს სამაგალითო პლანტაციისათვის და თევზეულობის დასამზადებელ ქარხნისათვის მდინარე არაგვთან.

⁂ ქალაქის გამგეობის იმ ნაწილის სარევიზიოდ, რომელსაც წყლის მილი აქვს ჩაბარებული, შემდგარ კომისიის წევრებად დანიშნულ იქმნენ: გუბერნიის მეხანიკოსი ბ-ნი ხელიმსკი, გუბერნატორის საგანგებო საქმეთა უფროსი მოხელე ბ-ნი ტელეჟინსკი და პოლიცმეისტერის თანაშემწე ბ-ნი კოვალევი, გუბერნიის ინჟინერის ბ-ნ ბუტკევიჩის თავმჯდომარეობით.

⁂ გორში ამ ერთის თვის წინად პოლიციამ ერთი კაცი შეიპყრო, რომელმაც განაცხადა, რომ ბათუმელი ვარ გვარად ნაუმოვიო. ნაუმოვი გორიდგან ბათუმში გაგზავნეს და იქ განთავისუფლებას უპირებდნენ, როდესაც გორის მაზრის უფროსისაგან დეპეშა მიიღეს, რომ ნაუმოვს დავეძებთ სისხლის სამართალში მისაცემადაო. ამავე დროს გორის სატუსაღოში მყოფმა ერთმა ტუსაღმა ვიღაც ნ. განაცხადა, რომ ნაუმოვის ნამდვილი გვარი და სახელი ივანე გრიგორის ძე მილოვზოროვია; ამ მილოვზოროვმა წარსულ ზაფხულს ქ. ბაქოში ყალბის ქაღალდების წყალობით ერთის ბანკირის კანტორიდგან 2,000 მანეთი გაიტანაო. ტუსაღის სიტყვით, ამავე მილოვზოროვს მოუწადინია სტაროსელსკის საქმის გამო საპატიმროში დაპატიმრებულთა განთავისუფლება. ამ აზრით მას ბაქოს ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ტანისამოსი ჩაუცვამს და საპატიმროში მისულა, მაგრამ საპატიმროს უფროსს საეჭვოთ სჩვენებია და იმის ბრძანება აღარ აუსრულებიაო. გაზ. „Чер. Вѣс.“ სიტყვით, მილოვზოროვი 10 იანვარს ბათუმიდგან ბაქოში ეტაპით გაუგზავნიათ.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლო ჩქარა განიხილავს ფრიად საყურადღებო საჩივარს. ეს საჩივარი შეუტანია თავ. თ. ზ. ბარათაშვილის ვექილს, ნაფიც ვექილის თანაშემწეს ბ-ნ ზავრიევს და უჩივის ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს.

აი, რა არის ნათქვამი საჩივარში: ბანკის წევრთა საზოგადო კრებამ, რომელსაც 466 კაცი დესწრო, 1895 წლის 20 მაისს, ერთ-ხმად ამოირჩია თავ. ბარათაშვილი ბანკის გამგეობის წევრის თავ. ავალიშვილის თანამდებობის კანდიდატად. 1896 წ. საზოგადო კრებამ კიდევ ორიც სხვა კანდიდატი ამოირჩია გამგეობის ორის სხვა წევრის თანამდებობისა—თავ. ვახვახიშვილი და თავ. ჩოლოყაშვილი. ეს ორნი ერთხმად არ იქმნენ ამორჩეულნი, არამედ 788 წევრთა შორის 39 შავი კენჭი ჩააგდეს ამ კანდიდატთა საარჩევანო ყუთში. 1897 წლის ივლისში მძიმედ გახდა ავად და შემდეგ გარდაიცვალა გამგეობის წევრი თავ. ავალიშვილი. ბანკის წესდების მე 68 §-ის ძალით, თავ. ავალიშვილის მაგიერობა ერთ-ერთს კანდიდატთაგანს უნდა გაეწია, „ხოლო კანდიდატებს იწვევს გამგეობის თავმჯდომარე იმის კვალობაზედ, თუ ვის რამდენი თეთრი კენჭი აქვს მიღებული“. გამგეობის თავჯდომარემ გამგეობის წევრის თანამდებობის აღსასრულებლად მიიწვია, თავ. ბარათაშვილი-კი არა, ერთ ხმად არჩეული, არამედ თავ. ვახვახიშვილი, რომელიც ერთ-ხმად არ იყო არჩეული. ყველა კანონიერად შემდგარი საზოგადო კრება, აშკარაა, თანასწორ მნიშვნელობისა უნდა იყოს და ერთგვარი უფლება ჰქონდეს. საოცარი და ულოგიკობა იქნებოდაო, სწერს მომჩივანის ვექილი, ის ვიფიქროთ, რომ ვითომ პირველის საზოგადო კრების დადგენილება „უარესი“ იყოს, ანუ ნაკლებ უფლებიანი, ვიდრე მეორე საზოგადო კრების დადგენილება მხოლოდ იმიტომ, რომ პირველს 466 წევრი დაესწრო და მეორეს—788 წევრი. შემეცნება „ამომრჩეველ ხმათა უმეტესობა“ ფრიად ადვილად გასაგებია. ამორჩეულია ის, ვისაც „მეტი“ ხმა ერგო; ერთმა მიიღო „ყველა თეთრი კენჭი“, მეორემ „არა ყველა“. ერთის კანდიდატობა ყველა წევრთ მოიწონეს, მეორისა და მესამისა—საზოგადო კრების 5°/o არ მოიწონა. აქ რომაო, სწერს ბ-ნი ზავრიევი, აქ აშკარაა: ვინც უფრო მეტის ხმით იქმნა ამორჩეულიო.

დასასრულ იგი სთხოვს ოლქის სასამართლოს, დაადგინეთ, რომ ჩემს რწმუნებულს თავ. ბარათაშვილს უფლება აქვს აღასრულოს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წევრის თანამდებობა თავ. ავალიშვილის გარდაცვალების შემდეგ, და მასვე ნება დართოთ აღმასრულებელის წესით მოითხოვოს ის ზარალი, რაც მოუვიდა იმის გამო, რომ გამგეობის წევრის თანამდებობა არ აღასრულებინესო. („ახ. მიმ.“)

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერენ პეტერბურგიდგან: „საფრანგეთის ერთმა ამხანაგობამ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამ ამხანაგობას ნება მიეცეს დუშეთის მაზრის ერთ-ერთ სახელმწიფო აგარაკში ლიტოგრაფიის ქვით სარგებლობისა. ლიტოგრაფიის ქვის ადგილ-მდებარეობას ამხანაგობა ჯერ-ჯერობით არავის უმხელს. შარშან დუშეთის მაზრაში ადგილის დასათვალიერებლად ამ ამხანაგობის რწმუნებული იყო, რომელიც სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივ გამგეობას კიდეც მოელაპარაკა“.

⁂ გაზ. „ტფ. ფურც.“ სწერენ, რომ სიღნაღ-ტფილისის გზა-ტკეცილი საშინლად არის გაფუჭებულიო. სიღნაღიდგან კაკაბეთამდის გზას კიდევ არაფერი უშავს, მაგრამ კაკაბეთიდგან დაწყებული იმდენად არის გზა-ტკეცილი გაფუჭებული, რომ ეტლებს მეტად უძნელდებათ სიარულიო. მეეტლეები მინდორ-მინდორ რჩეობენ სიარულს, ვიდრე თვით გზა-ტკეცილზედ. ამ ორის წლის წინად დანგრეული ხიდი ჯერაც არ შეუკეთებიათო.

⁂ გაზ. „სვეტი“ სწერს, რომ ბუშას ექსპედიციამ, რომელიც წარსულს ზაფხულს იკვლევდა კავკასიის საყინულეებს, თითქმის ასი ახალი საყინულე აღმოაჩინაო.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერენ, რომ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უკვე მოიწონა და გადასწყვიტა ამა მიმდინარე წელს გადასდოს საჭირო თანხა თელავის მაზრის, სოფ. ჩობახურში სამაგალითო ვენახის დასაარსებლად.

# ფელეტონი

## მკაცრ სასჯელთა გავლენა

(კავკასიაში ავაზაკობის წინააღმდეგ ერთის კანონმდებლობითის განკარგულების გამო).

I

რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სისხლის სამართლის კანონ-დებულებათა ბევრ განსხვავებას შორის ერთი მეტად შესამჩნევია: უცხოეთის სისხლის სამართლის კანონები უფრო ეთანხმება ადამიანის ღირსებას, გრძნობებს, გაცილებით მეტის კაცთმოყვარეობითა დ ლმობიერებით არის გამსჭვალული დამნაშავის მდგომარეობის მიმართ, ვიდრე ამისთანავე კანონები რუსეთისა. ხშირად რომელისამე დანაშაულისათვის რუსულის კანონებით დანიშნულია სიკვდილით დასჯა, ან კატორგაში მუშაობა, მაშინ როდესაც ევროპის კანონ-მდებლობა იმავე ბოროტ-მოქმედებისათვის საპყრობილეში დაპატიმრებითაც კმაყოფილდება. მართალია, არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც, პირ-იქით, წინააღმდეგ მოვლენას ვამჩნევთ, ესე იგი, ევროპიული კანონები რუსულზედ უფრო სასტიკია, მაგრამ ამ გვარ კანონთა რიცხვი ერთობ მცირეა, ასე რომ ეს სათვალავში ჩასაგდები არც-კია, ვინაიდგან ღირს საყურადღებოა მხოლოდ საზოგადო ხასიათი კანონ-მდებლობისა და არა თითო ოროლა მაგალითი. რუსულ კანონების ამ ნაკლულევანებამ დიდი ხანია მიიქცია მეცნიერთა ყურადღება. მთავრობაც, რაკი თითონვე დარწმუნდა, რომ დღეს მომქმედი სისხლის სამართლის კანონთა კრებული დაძველდა, რომ იგი თანამედროვე მართლ-მსაჯულებას აღარ შეეფერება, ერთს განსაზღვრულს სისტემას მოკლებულია, „ახალ სასამართლოს“ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, შეუდგა კიდეც ამ საქმისათვის ზრუნვას: აგერ თხუთმეტ წელიწადზედ მეტია მას აქეთ, რაც კომიტეტი შესდგა ახალ სისხლის სამართლის დებულების პროექტის შესამუშავებლად. ამ კომიტეტმა, რომელშიაც ცნობილნი მეცნიერნი და გამოცდილნი სახელმწიფო მოღვაწენი იღებენ მონაწილეობას, თავისი შრომა დაამთავრა კიდეც. რა ცვლილებას შემოიტანს ახალი კანონები, ამას მომავალი გვიჩვენებს, როდესაც იგი, უმაღლესად დამტკიცებული, ძალაში შევა, ეხლა-კი გადაჭრილად რისიმე თქმა ძნელია. ჯერ-ჯერობით სისხლის სამართლის მართლ-მსაჯულება მაინც ისევ ძველის წესით სწარმოებს. დღევანდლამდე რუსეთში ჰმოქმედებს ერთად-ერთი საერთო სისხლის სამართლის კანონები—ეგრედ წოდებული: „სასჯელთა დებულება“ [1]; იქ შეკრებილია ყველა ის კანონი, რომელთა ძალით უნდა იქმნენ განსამართლებულნი სამოქალაქო უწყების ყოველგვარნი დამნაშავენი, იგივე „დებულება“ ვრცელდება კავკასიაზედაც, ხოლო ამ უკანასკნელ დროს, ამ ოთხის წლის წინად (13 სექტ. 1893 წ.), განკარგულება გაიცა, რომლის ძალით ამიერიდგან ადგილობრივ მკვიდრთა დიდი დანაშაულობანი, როგორც: კაცის მკვლელობა, ავაზაკობა, ძარცვა-გლეჯა და სხვ., უნდა გაირჩეს სამხედრო სამართლის წესით, ესე იგი არა იმ „დებულებით“, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ აქამომდე ზემოდ ხსენებულ შემთხვევებში, არამედ სამხედრო სისხლის სამართლის კანონების მიხედვით ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვეულებრივზედ უფრო სასტიკ, მრისხანე, შიშის მომგვრელ კანონებით [2]. უწინ რუსეთშიაც ხშირი იყო („კანონთა კრებულში“ აღნიშნული 40 შემთხვევაზედ მეტი, როგორც ამბობს პროფ. ფოინიცკი [3])) სამხედრო სასამართლოში საქმეების გარდაცემა, მაგრამ შემდეგ იმპერატორის ალექსანდრე II-ის სასამართლო წესდებათ აღკრძალეს ასეთი გარდაცემა მცირეოდენის გამონაკლით.

ამ სახით, კავკასია ამ მხრივ განსხვავებულ იქმნა რუსეთისაგან, სადაც სამოქალაქო წოდებისანი უწინდელებრ იმავე „დებულების“ დადგენილებათა ძალით განისამართლებიან მძიმე დანაშაულთა ჩადენისათვის, როგორც ეს აქამომდე ჩვენშიაც იყო, თუმცა ეს „დებულებაც“ სავსეა მკაცრ ღონისძიებათი დამნაშავეთა მიმართ.

ეს საგანგებო ღონისძიება მთავრობამ შემოიღო იმ განზრახვით, რომ ჩვენში გავრცელებული ავაზაკობა შეამციროს. ადვილად მისახვედრია, მაშასადამე, რამდენად საყურადღებო უნდა იყოს ჩვენთვის იმის გამორკვევა, თუ რა გავლენა აქვს საზოგადოდ სასტიკ სასჯელს, შეუძლიან თუ არა მკაცრ სასჯელს მოსპოს, ან შეამციროს მაინც ავაზაკობანი, კაცის მკვლელობანი, ძარცვა-გლეჯანი და სხ. ამ საგნის ასე თუ ისე გარდაწყვეტით გავიგებთ ჩვენში შემოღებულ წესის აზრიანობას ან უაზრობასა და მავნებლობას, ეს საგანი მით უფრო საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ამ უკანასკნელ დროს კავკასიაში სხვა-და-სხვა ავაზაკობის ერთობ ძალზედ გავრცელე-

[1] მომრიგებელ-მოსამართლეთათვის გამოცემულ წესდებას, რადგან მას სამოქმედოდ ვიწროდ შემოფარგლული ასპარეზი აქვს, არ ვიხსენიებთ; „სამხედრო დადგენილებათა კრებული“, როგორც დანიშნული სამხედრო წოდებისათვის, განსაკუთრებულ, სპეციალურ კანონებს ეკუთვნის. ავტ.

[2] აი თვით კანონი სიტყვა სიტყვით: 1) როგორც დროებითი ღონისძიება, ვიდრე კავკასიასა და სტავროპოლის გუბერნიაში ავაზაკობა მოისპობოდეს, საქმენი ავაზაკობის შესახებ, განზრახვით ჩადენილ მკვლელობისა, ძალდატანებით გაძარცვისა, სადგომ-შენობათა დაწვისა, ამბოხებისა და შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევისა უფლება-მოსილთა მიმართ, როდესაც ამა დანაშაულს ჩაიდენენ მკვიდრნი მცხოვრებელნი ეროვნებისა, წოდებისა და სარწმუნოების განურჩევლად, კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართებელს ნება ეძლევა გარდასცეს, თავის უფლების ძალით, საერთო სასამართლო დაწესებულებათა უწყებიდგან სამხედრო სამართალს, რათა ბრალდებულნი განსჯილ იქმნენ სამხედრო დროის კანონების მიხედვით, დაამტკიცოს ამ საქმის გამო შემდგარი სამხედრო სასამართლოთა განაჩენნი.

2) იგივე წეს-რიგი ვრცელდება იმ საქმეებზედ, რომელნიც აღნიშნულნი არიან უმაღლესად დამტკიცებულ ბრძანებებში 29 ივლ. 1891 წ. და 25 იანვ. 1893 წ.

3) თერგისა და ყუბანის ოლქებში სამხედრო სამართალში გადაცემის და კონფირმაციის უფლება იმ საქმეთა შესახებ, რომელნიც ნაჩვენებია აქ, 1 და 2 მუხლში, ეძლევა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს და კავკასიის ყაზახის ჯარების ატამანს. (იხ. „მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“ № 160, მუხ. 1267).

აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ვიდრე გამოიცემოდა კანონი 13 სექტ., სამხედრო სამართლის წესით განსამართლება შემოღებული იყო 29 ივლ. 1891 წ. და 25 იან. 1893 წ. უმაღლესად დამტკიცებულ ბრძანებათა ძალით, ხოლო იმათი მოქმედება შეზღუდულია ვიწრო ფარგალით. პირველი შეეხება ამიერ-კავკასიის რკინის გზის მსახურთა და მოგზაურებზედ შეიარაღებულ თავ-დასხმას, ოდეს ამ დანაშაულობას მოჰყვება მკვლელობა, დაჭრა, დასახიჩრება, გაძარცვა და სხვ., აგრეთვე განზრახ ჩადენილ გაფუჭებას რკინის გზისას; ამ კანონის ძალით, ისინი, რომელთაც დაედებათ ბრალი აღნიშნულ დანაშაულობისა, მიეცემიან სამხედრო სამართალს სამხედრო დროის კანონების მიხედვით განსასჯელად. მეორე უმაღლესმა ბრძანებამ-კი გაავრცელა იმავე შემთხვევებში წესები 29 ივლ. 1891 წ. კავკავის რკინის გზაზედ. შემდეგ კავკასიის მთავარ-მართებელმა იშუამდგომლა უმაღლესის მთავრობის წინაშე იმავე კანონის გავრცელება მთელს კავკასიაში ავაზაკობათა აღმოსაკვეთად. ეს შუამდგომლობა, რომელიც დაწყებულ იქმნა თავ. დონდუკოვ-კორსაკოვის თაოსნობით და განგრძობილ გრაფ შერემეტიევის მიერ, უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარა და ამის შედეგია კანონი 13 სექტ. 1893 წლისა.

[3] იხ. „Ученіе о наказ.“, გვ. 144.

⁂ ქუთაისი. 18 იანვარს, ტყიბულის გზაზედ დიდი თოვლისა და ზვავების გამო, მატარებლების მიმოსვლა ქუთაისსა და ტყიბულს შუა შეჩერებულია.

⁂ ხაშური. 17 იანვარს სახალხო მატარებელმა № 41, ხაშურიდგან სურამში მიმავალმა, ხაშურიდგან სამი ვერსის მანძილზე დიდის თოვლის გამო სიარული ვეღარ შესძლო და გაჩერდა. მატარებელს ერთი ორთქლ-მავალი კიდევ მიაშველეს ხაშურიდგან, მაგრამ მაინც ადგილიდგან ვერ დასძრეს. შემდეგ მგზავრები ეტლებით უკანვე ხაშურში მოიყვანეს; ხოლო მატარებელი 16 საათის შემდეგ დააბრუნეს ხაშურში.

⁂ ქარელი. 17 იანვარს, სახალხო მატარებელი № 3 ქარელსა და სკრას შუა გაჩერდა. ამის მიზეზი დიდი თოვლია, რომელიც ეს სამი დღეა განუწყვეტლივ მოდის. საერთოდ გორსა და ყვირილას შუა ისეთი დიდი თოვლი სძევს და ისეთი საშინელი ქარი უბერავს, რომ მატარებლების სიარული შეჩერებულია. მატარებლები მხოლოდ ტფილისიდგან გორამდის დადიან. ასეთივე დიდი თოვლი და ქარია ბორჯომისა და ჭიათურის შტოებზედაც. მატარებლები აქაც ვეღარ დადიან.

⁂ კავკავი. რვა ვერსის მოშორებით კავკავიდგან მიხეილის ახალშენში 14 იანვარს ღამე ერთი საზარელი ამბავი მოხდა. ერთს მოსახლე გერმანელს შეუცვივდნენ ვილაც ბოროტ-მოქმედნი, ცოლი და ქმარი და ერთი პატარა ბავშვი დაჩეხეს და ერთი დიდი ქალიც ცოცხალ-მკვდარი დასტოვეს. ავაზაკების კვალისთვის ჯერ ვერ მიუგნიათ.

აქეთ თოვლი დიდია. ეს ორი დღეა გამუდმებით სთოვს, საქონლის საკვები თანდათან ძვირდება.

⁂ 18 იანვარს მე-4 პოლიციის ბოქაულს გერასიმე ზურაბოვმა გამოუცხადა, რომ გუშინ, საღამოს 11 საათზედ, მოსამსახურემ მიხეილ დეისაძემ საწერ სტოლის უჯრიდგან 320 მან. მომპარაო. პოლიციამ დეისაძე შეიპყრო, რომელსაც 307 მან. აღმოაჩნდა, და სასამართლოს გადასცა ბრალდებული.

⁂ 14 იანვარს ბაქოს ნავთის მექარხნეების თავმჯდომარემ მიჰმართა ამიერ კავკასიის რკინის გზას და სთხოვა, რომ რადგანაც ამ თვეში დიდ ძალი ნავთია გადასატანი ბათუმში და ის 270—300 ვაგონი, რომელსაც ყოველდღე ბაქოს სადგური იძლევა, არა გვყოფნის, განკარგულება მოახდინეთ, რომ დღეში 400 მეტი ვაგონი თუ არა 400 უეჭველად მოგვცენო. ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ ბათუმში ან სხვა სადგურებში, სადაც კი დაიცლება ნავთი, მაშინვე დააბრუნონ ნავთის ვაგონები. ხოლო ახალის საგონების გაგზავნა ბაქოში შეუძლებელია, რადგანაც 816 ვაგონი შესაკეთებლად არის მიცემული.

⁂ 17 იანვარს ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა, რომ ამიერიდგან აღუკრძალონ დუქნებისა, სახაიებისა და ლუდხანების ფანჯრების შეღება, მათზედ ფარდების ჩამოფარება, ან დარამების დახურვა, რომ პოლიციას უფრო კარგად შეეძლოს თვალ-ყური ადევნოს, რა ხდება ასეთს დუქნებშიო.

⁂ 17 იანვარს, დუშეთის მაზრის მცხოვრებელმა სიდონია განგიაშვილისამ განაცხადა ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიაში, რომ 11 იანვარს, დილის 9 საათზედ, ჩემი 13 წლის შვილი, სოსო, წავიდა სახლიდგან, რომელიც 1 თუმანოვის ქუჩაზედ არის № 16 და მას შემდეგ უკან აღარ დაბრუნებულაო.

⁂ ქუთაისის გუბერნიის აზნაურმა სიმონა ნადირაძემ განაცხადა პოლიციაში, რომ 16 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, ჩემის სადგომიდგან სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში მოიპარეს სხვა-და-სხვა იარაღი, ოქროსა და ვერცხლის ნივთები და ტანისამოსი, სულ 500 მანეთისაო. პოლიციამ გამოარკვია, რომ ქურდობა შინაურებს ჩაუდენიათ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ტობანიერი** (ქუთაისის მაზრა), 8 იანვარი. 18 დეკემბრიდგან აქეთ ორი დღე განუწყვეტლივ ითოვა და ერთ ადლზედ მეტი თოვლი დასდო; შემდეგ ექვსი დამე საშინელი მაგარი ყინვები დაიჭირა და მცხოვრებლები მეტად შეაწუხა; სახლებში ვერაფერი ვერ გიპატივეთ, რომ არ გაეყინა: ბოთლები დახეთქა, კოკები დაამსხვრია, ქვევრებში ღვინო დაჰყინა, გვარიანად დამთბარ სახლებშიაც 7—8 გრადუსი სიცივე იყო; წისქვილები ყველგან დაჰყინა და ერთს კვირას მცხოვრებლები მოხარშულ სიმინდით იკვებებოდნენ; მდინარეებში გასვლა შეუძლებელი გახდა; მდ. რიონი ისე გაიყინა, რომ ნორნები ვეღარ ჰმუშაობდნენ; ერთის კვირის შემდეგ, როგორც იყო, აამუშავეს და გაჰყვა-გამოჰყვადათ ხალხი, მაგრამ კვა ასეთ გაყვანას, თუ აბაზს არ გადიხდიდი წინდაწინ, ისე მეპორნეები ადგილიდგან არ იძროდნენ. ამისათვის მოგზაურები საჯავახოს სადგურზედ ხტებოდნენ მატარებლიდგან და შემდეგ ფეხით მოდიოდნენ თავიანთ სახლში; ამდენს შრომასა სწევდნენ, რომ დ. სამტრედიიდგან აჰშორებოდნენ მდ. რიონში გამოსვლას. ასეთი გლახა დღე დაგვაყენა აქეთ ყინვებმა. მოხუცებულები ამბობენ, რომ ასეთ ყინვებს ჯერ აქეთ არ მოესწრებივართო.

ამ ყინვებმა თან მოიტანა ხშირი სიკვდილი. 15 დეკემბერს ჩვენს სოფელში დაიმარხა 12 მიცვალებული; გლეხის თებზაძის ოჯახში ერთი კვირის განმავლობაში სამი გარდაიცვალა, სამის დღის განმავლობაში დაიხოცნენ ორნი ძმანი შარაშენიძეები. მაზრის ექიმს აქეთ ხომ ორ წელიწადშიაც ერთხელ ვერა ჰნახავთ. ამ საზოგადოებაში ირიცხება 1,000 კომლზედ მეტი მცხოვრებელი; თითოეულმა მოსახლემ რომ 50 კაპ. გამოვიღოთ, შესდგება 500 მან.; 300 მანეთი რომ მივცეთ წელიწადში, შეგვიძლიან ვიქონიოთ ერთი ფერშალი მაინც და დანარჩენი 200 მანეთით წლიურად მოვიმარაგებთ უუსაჭიროესს წამლებს, მაგრამ ვინ არის ასეთის კეთილის აზრით გამსჭვალული ჩვენში, ან ვინ ითავებს და რომ ითავოს, გამგონე ვინ არის. აქაურები ყოველის ასეთის კეთილის საქმის წინააღმდეგნი არიან; უფრო მოხუცებულები გვიშლიან ხელს.

ამას გარდა, აქაური სოფლის მმართველობა ისე არ არის მოწყობილი, როგორც სხვა სოფლებში: აქ მამასახლისის უფლება შეზღუდულია საზოგადოების მიერ ამორჩეულის რამდენისამე კაცისაგან, რომელთაც ეწოდებათ „დეპუტატები“; ესენი არიან საზოგადოების ამგრევნი და უკუღმართ გზაზედ დამყენებელნი. ვითომ გული შესტკივათ საზოგადოებისათვის, ჰსურთ, რომ ყოველმა საქმემ იმათ ხელში გაიაროს. ეს „დეპუტატები“ ორ კვირაში, ან კვირაში ერთხელ მოიყრიან ხოლმე თავს სამმართველოს მახლობლად სამიკიტნოში, თითო ორმოდა არაყს გადაჰკრავენ, მერე ჩიბუხებს აბოლებენ, დაიდებენ უკან ხელს და გარს შემოუვლიან ხან სამმართველოს და ხან სასწავლებელს, ერთხანს გაჩერდებიან ქუჩაში და შესტქერიან, თითქოს უხარიანთ, რომ სასწავლებელი წითელის „მარსელის“ კრამიტით არის დახურული; შევლენ კანცელიარიაში და რაღაც უსაბუთო გაუგებარ საგნის შესახებ ბაასობენ. ამ გვარად, აღამებენ სამმართველოში და შემდეგ გაუდგებიან გზას, რა დაადგინეს, თვითონაც არ იციან. უფრო ხშირად იმასა ჰქადაგებენ, რომ სასწავლებელს საკუთარი მოსამსახურე არ უნდა, მაშა ორი ან სამი საყენი ეყოფა ორივე სასწავლებელს და მასწავლებლებსაც, სასწავლებლის ეზოს შემოგაღავნება ვის გაუგონიაო, და ამ გვარად მასწავლებლებსაც ხელს უშლიან და საზოგადოებასაც ჰღუპავენ თავიანთის უაზრო ქადაგებით. ესენი, რასაკვირველია, იმ აზრისანი არიან, რომ საზოგადოებას როგორმე ხარჯი ცოტა შეხვდეს, ან სრულებით ასცილდეს. მე კი ვურჩევ „დეპუტატებს“, რომ, თუ საზოგადოების კეთილდღეობისათვის შესტკივათ გული, სასწავლებლის შენობებს მიაქციონ ყურადღება; მდინარე „უუმური“ ორს საჟენზედ დაუახლოვდა და მალე აადენინებს საზოგადოებას ამ შენობებს; ამისათვის საჭიროა ეხლავე უწამლონ ამ საქმეს და მდინარე მარჯვნივ გადაუშვან, რაც ჯერ-ჯერობით იოლად მოხერხდება, შემდეგ-კი გასჭირდება საქმე და საზოგადოება უარესს ზარალში ჩავარდება. აი, ეს არის იმათი საქმე! ამისთვის ღმერთიც დაუმადლებს და კაციც. მამასახლისი აქ „დეპუტატებს“ შესჩერებია, როდის ინებებენ განკარგულებას და გაწერენ ხარჯსაო. ამიტომაა, რომ ეხლა მეელის წლის სახელმწიფო გადასახადი ერთიანად ერთმევათ საწყალ გლეხებს. კარგი იქნება, რომ „დეპუტატების“ თანამდებობა აქ სრულიად მოისპობოდეს, თუ მაინც და მაინც საჭიროა სოფელმა იყოლიოს ორი მცოდნე კაცი, რომ დაეხმარნენ მამასახლისს და თავისს დროზედ გაწერონ ხარჯი კანონიერად, ისე-კი, რომ შეძლებულს და შეუძლებელს რიგიანი ყურადღება მიექცეს ხარჯის გაწერის დროს. იმედია, ამას მიაქცევს ყურადღებას, ვისაც ჯერ არს.

ვლადო ბზვანელი

---

ბისა გამო როგორც ჩვენი საზოგადოება, ისე ადგილობრივი და უმაღლესი მთავრობა იმის კვლევა-ძიებაშია, რა მიზეზია ავაზაკობის გავრცელებისა ჩვენ მხარეში, ან რა ღონისძიება უნდა იქმნეს მიღებული მის წინააღმდეგ და სხვა და სხვა. ბევრნაირი აზრი წარმოითქვა ჩვენსა თუ რუსულ ლიტერატურაში ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების ამ ბოროტების შესახებ, ხოლო, თუ არ ვცდებით, ზემოდ დასახელებულ ახალ კანონის—მის გავლენის შესახებ დანაშაულთა გავრცელებაში,—არსებითი რამ თითქმის არა თქმულა-რა. ესეთი უყურადღებობა-კი, ჩვენის აზრით, მავნებელია საქმისათვის და ამიტომ ჩვენ გვსურს ამ წერილში მ კირედ არის მაინც განვმარტოთ სასტიკ სასჯელთა გავლენა დანაშაულობაზედ საზოგადოდ და ამ კანონის ავ-კარგი კერძოდ. საჭიროა ცოტა შორიდგან დავიწყოთ, თუმცა-ღა ვეცდებით ძლიერ მოკლედ გამოვთქვათ ჩვენი აზრი.

### II

დანაშაული და სასჯელი მუდამ იყო. მას აქეთ, რაც ხალხის გონებაში შემუშავდა ცნება დანაშაულისა, დამნაშავისა, ესე იგი სხვის უფლებათა დამრღვევისა, სასჯელიც არსებობს. ხოლო გარეგნობა, სახე სასჯელისა მუდამ იცვლებოდა: სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა სასჯელი იყო გავრცელებული. სასჯელმა თავისს ისტორიულ მსვლელობაში რამდენიმე ხანა გამოიარა. ადამიანი ერთ დროს რომ ერთ სასჯელს ჰხმარობდა, მეორე ხანაში სხვანაირად იცავდა თავის უფლებას. თავ-და-პირველად, როდესაც სახელმწიფო უფლება სუსტი იყო, როდესაც ხალხსაც არ ჰქონდა შეგნებული ის აზრი, რომ დანაშაულობა არღვევდა მთელის საზოგადოებისა და არა მარტო კერძო ინტერესებს, როდესაც კერძო, პირადს პრინციპს უპირატესობა ჰქონდა საზოგადოებრივზედ, მაშინ არც სასამართლო დაწესებულებანი იყო, როგორც ეხლაა, და სამართალიც დაშავებულისა და დამნაშავის ხელში იყო. ამ ხანას უწოდებენ ხანას თვით-განსამართლებისას, თვით მორიგებისას (періодъ самоуправства). იმ დროს, თუ ვინმე რაიმე ბოროტ-მოქმედებას ჩაიდენდა, ან ვისმეს შეურაცხყოფას რასმე მიაყენებდა, იმის წინააღმდეგ ამხედრდებოდა თვით დაშავებული, რომელიც სცდილობდა მაგიერი გარდაეხადა დამნაშავისათვის და მთელის მისის გვარის წევრთათვის. თუ თითონ დაშავებულს არ შეეძლო რაიმე მიზეზის გამო გაეცა პასუხი დამნაშავისათვის მის მიერ ჩადენილ ავ-კაცობისა, მაგალითებრ, თუ თითონ მოკლული იქმნებოდა, მაშინ იმის მაგიერ ნათესავები გამოიდებდნენ თავს და სისხლს იღებდნენ მტრისაგან. ამ გვარად, რომელისამე შეურაცხყოფის გამო გაცხარებული ბრძოლა ასტყდებოდა ხოლმე ორ გვართა შორის, რომელშიაც ხშირად თითქმის მთელი გვარი შურის ძიების მსხვერპლი ხდებოდა. მაშასადამე, ამ ხანაში სასჯელის სახე იყო სისხლით შურის ძიება (кровав. месть), ეს მოვლენა იმდენად იყო გავრცელებული იმ დროინდელ საზოგადოებაში, რომ სისხლით შურის ძიება სავალდებულო ჩვეულებას შეადგენდა იმ ოჯახის წევრთათვის, რომელსაც ეკუთვნოდა დაშავებული, შეურაცხყოფილი ადამიანი. მაგრამ ამ წეს-წყობილებას ბევრი ცუდი შედეგი მოსდევდა, რომელიც ხალხისათვის ფრიად საზარალო იყო. ამიტომ, ზნეობრივ და გონებრივ განვითარებასთან ერთად, საზოგადოება, ჩახვდა რა ნაკლულევანებას თვით განსამართლებისას, ახალს გზას დაადგა, სხვა საშუალებას მიჰმართა თავისის უფლებების დასაცველად: ეხლა სამართლის გამჩენი გახდა სახელმწიფო, რომელიც თავისს სასამართლო დაწესებულებათა შემწეობით უძღვებოდა ამ საქმეს. (ეს ცვლილება, რასაკვირველია, უცები და პირდაპირი არ ყოფილა, ხალხის სამართალმა, ვიდრე ამ უკანასკნელ გზას დაადგებოდა, რამდენიმე სხვა ხანა გამოიარა). ამიერიდგან თვით შეურაცხყოფილს არავითარი საქმე არა ჰქონდა შეურაცხმყოფელთან, ამ უკანასკნელს სასჯელს სდებდა მხოლოდ წარმომადგენელი სახელმწიფო უფლებისა. ჩვეულებას სისხლით შურის ძიებისას ჩვენ დროში არც ერთი ცოტად თუ მეტად განათლებული ერი აღარ მისდევს, ეხლა მთავრობა და არა კერძო კაცნი აწარმოებენ სამართალს. არ დაუგდია ეს ჩვეულება აქამომდე მხოლოდ ზოგიერთ ველურ მდგომარეობაში მყოფ ხალხს; მცირეოდენ კვალს ამ პირველ-ყოფილ მართლ მსაჯულებისას ჩვენშიაც შეხვდებით. რა თქმა უნდა განვითარებასთან ერთად აქაც აღმოიფხვრება ეს ცუდი, საზიზღარი ჩვეულება. ასეთია ყველგან და ყოველ ერის ცხოვრებაში ევოლიუცია სამართლის წარმოებისა.

თანამედროვე სახელმწიფოებში სასჯელ დების უფლება მინიჭებული აქვს ერთის მხრივ და უმთავრესად სასამართლოებს და მეორეს მხრივ ადმინისტრატიულ დაწესებულებათ, ხოლო ამ უკანასკნელთა უფლება ყველგან ვიწროდ შემოფარგლულია სხვა და-სხვა მეტ-ნაკლებობით. ამათ გარდა, არის კიდევ ერთ ნაირი საზოგადო დაწესებულებანი, როგორც მაგ. ოჯახი, საქველ-მოქმედო თუ სამეცნიერო საზოგადოება, სასწავლებლების მთავრობა, ნაფიც ვექილთა კრებულის საბჭო და სხ.-და-სხ., რომელთ ნება აქვთ სასჯელი დასდონ თავიანთ წევრებს ამ დაწესებულებათა წესდების, განსაკუთრებულ მოთხოვნილებათა ანუ პირობების დარღვევისათვის. ამგვარ უფლებას საერთო სასჯელ-დების უფლებისაგან გასარჩევად უწოდებენ, ჩვეულებრივ, დისციპლინალურს და აქედგან თითონ სასჯელსაც ჰქვიან დისციპლინალური.

იმის გამორკვევა, თუ რაზედ არის დაფუძნებული სახელმწიფოს უფლება სასჯელის დადებისა და რა აზრს მისდევს იგი, როდესაც საზოგადოდ სასჯელის საჭიროებას აღიარებს, რით ხელმძღვანელობს დამნაშავის დასჯის დროს, ერთობ საყურადღებოა, თუმცა-კი ამასთანავე ერთობ სადავოა სისხლის სამართლის უფლების მეცნიერებაში. ბევრი ძალ-ღონე დაუხარჯავთ მეცნიერთ ამ საგნის გამოსარკვევად და დღესაც ბევრს მეცადინეობენ მის სრულად გარდაწყვეტისათვის, მაგრამ ჯერაც ვერ დასდგომიან რაიმე ერთ აზრს, ჯერაც ვერ შეთანხმებულან ერთმანერთთან და გადაჭრით ვერა უთქვამთ-რა, რაც იმითი უნდა აიხსნას, რომ კრიმინალისტები ამ კითხვის გამოკვლევის დროს ირჩევდნენ იმ გვარ მეთოდს კვლევისას, რომელიც მხოლოდ აძნელებდა, ართულებდა საგანს. განსაკუთრებული ყურადღება ამ საგანს მიაქციეს ფილოსოფოსებმა და პუბლიცისტებმა 18 საუკუნის დასასრულისამ, რომელთ შეჰქმნეს თუ შეიმუშავეს სისხლის სამართლის სხვა-და-სხვა თეორია და სისტემა. იმათის ჩამოთვლას ჩვენ, რასაკვირველია, აქ არ შევუდგებით, მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ იმ თეორიას, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენ მიერ აღძრულ საგანთან. იურიდიულს მეცნიერებაში ამ თეორიას ასე ეძახიან: თეორია ტერორისტული ანუ შიშის მოგვრისა. ხოლო ვიდრე ამ უკანასკნელ სწავლას გავაცნობდეთ მკითხველთ, საჭიროა წინ წავიმძღვაროთ, რამდენიმე საზოგადო მოსაზრებაც, რომელიც, უეჭველია, გააადვილებს აქ დასახელებულ თეორიის გაგებას.

გრ. გველესიანი

(შემდეგი იქნება)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

პეტერბურგის გაზეთი „Міровые Отголоски“ აღნიშნავს რა იმ ამბავს, რომ კავკასიის ადმინისტრაცია ჰშველის ხოლმე ოსმალეთიდგან გადმოხვეწილ სომხებს, შემდეგ ამბობს.

რა თქმა უნდა, ასეთი საქციელი კავკასიის ადმინისტრაციისა, რომელიც უბედურ გარდმოხვეწილ ხალხს ეხმარება, მეტად სასახელოა რუსეთის მთავრობისათვის. მაგრამ ამ საქმეს სხვა მხრითაც უნდა მიექცეს ყურადღება. როდესაც მეზობელ სახელმწიფოში, როგორც, მაგალითად, ოსმალეთში სდევნიან სომხებს და ისინიც ათასობით გადმოდიან ჩვენკენ, დიდი პოლიტიკური შეცდომა იქმნება, რომ ყურადღება არ მიექცეს კავკასიაში სომეხთა გამრავლებას, ამ დიდად არა სასურველ ელემენტს. ჯერ გამოჩნდება ხოლმე საცოდავი ხალხი, რომლის გამოკვებას გვაკალებს კაცთ-მოყვარეობა და ქრისტიანობა. გავა დრო. ჩვენ სრულიად ვივიწყებთ. ვინ არიან ეს სომხები და საიდგან გაჩნდნენ. ისინი კი სრულიად ფერს იცვლიან. გუშინდელი უბედური და დაკრძალული კაცი დღეს თამამია, ებადება სურვილი დასახლდეს აქა და მერე სხვები დასჩაგროს. ამ გვარად კავკასიაში ძლიერდება და სხვებსა სჩაგრავს ის ელემენტი, რომელიც უფრო ნაკლების მეგობრობით უყურებს რუსებს, ვიდრე სხვა ტომის ხალხნი. ვინც-კი იცის ადგილობრივი პირობები, ყველა იტყვის, რომ სომხები ძლიერ ეჯავრებათ კავკასიის იმ ტომთა ხალხს, რომლებიც სომხების მეზობლად სცხოვრობენ, ეჯავრებათ იმიტომ, რომ სომხები ძლიერდებიან იმის წყალობით, რომ სცდილობენ გაუბატონდნენ სხვა თესლის ხალხს, სრულიად უსაბუთოდ და დაუმსახურებლად. ეს უფრო მართალი იქმნება, თუ ისიც გავიხსენეთ, რომ სომხები სხვა ტომის ხალხთან შედარებით ნაკლებნი არიან კავკასიაში (ერთი მეათედი თუ იქმნება, გენერალის რიტტიხის გამოკვლევით). ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი მთავრობა, ამ საქმის შესახებ საჭირო ღონეს იღონებს. დაე, ეს სომხები დაასახლონ სახელმწიფო ადგილებში, სადმე შუაგულ აზიასა ან ამურის მახლობლად, მაგრამ კავკასიაში-კი ნუ დაასახლებენ.

## რუსეთი

—

განზრახვა აქვთ სამხედრო მკურნალთ ჯამაგირები მიუმატონ 40%-ით.

— ამ დღეებში გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი განკარგულება იმის შესახებ, რომ ყოველ ქალაქში ერთი და იგივე გარდასახადი უნდა იქმნას დადებული ძაღლებზედაო.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე შეიმუშავა პროექტი გლეხთა და მემამულეთა შორის მამულ-დედულის განსაზღვრის შესახებ და დაუგზავნა შესაფერ დაწესებულებათ თავიანთის აზრის გამოსათქმელად. პროექტი სახელმწიფო საბჭოს გაზაფხულის სესსიას წარედგინება განსახილველად.

## უცხოეთი

—

**კრიტი.** ამ ბოლოს დროს მიუუჩვეულმა კრიტის საქმემ ხელ-ახლა აალაპარაკა ევროპის დიპლომატები და ჟურნალ-გაზეთები. აი, რას სწერენ პეტერბურგიდგან გაზ. „Nord“-ს, რომელიც რუსეთის მთავრობის ოფიციალურ გაზეთად ითვლება: „ეს რამდენიმე ხანია, რაც ჟურნალ-გაზეთებმა ლაპარაკი დაიწყეს იმ კანდიდატების შესახებ, რომელიც ვითომ რუსეთმა და სხვა სახელმწიფოთ წამოაყენეს კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ. გაზეთების სიტყვით, რუსეთმა უკვე რამდენიმე კაცი დაასახელა, რამაც დიდი მიწერ-მოწერა გამოიწვია რუსეთსა და ოსმალეთს შორისაო. ნამდვილად-კი რუსეთს კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ ერთი კაცის მეტი არავინ დაუსახელებია, სახელდობრ. საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე გიორგი. რუსეთის მთავრობის აზრით, კრიტის გენერალ-გუბერნატორად იმ სარწმუნოების კაცი უნდა იყოს, რომელსაც კრიტის მცხოვრებელთა უმრავლესობა აღიარებს. ხოლო ეს სარწმუნოება მართლმადიდებლობა არის. ამის გარდა, საბერძნეთის პრინცი გიორგი ნათესავად მოხვდება რუსეთისა, გერმანიისა, ინგლისისა, დანიისა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა მეფეთ და ამ გარემოებას-კი დიდი მნიშვნელობა ექმნება კუნძულ კრიტის მოწყობისა და იქ მშვიდობიანობის დამყარების საქმეში. ამიტომ უოკველ მჯერს გარეშე, რომ სახელმწიფონი მიიღებენ რუსეთის წინადადებას და კრიტის გენერალ-გუბერნატორად საბერძნეთის პრინცს გიორგის დანიშნავენ“.

— პეტერბურგიდამვე სწერენ გაზ. „Journal des Dedats“-ს: „გერმანია და ავსტრია წინააღმდეგნი არიან, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად საბერძნეთის პრინცი გიორგი იქმნას დანიშნულიო. ამ სახელმწიფოთ ეშინიანთ, რომ პრინცის გიორგის კრიტის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნას კრიტის საბერძნეთთან შეერთება არ მოჰყვესო“. მაგრამ ყველაზედ დიდი წინააღმდეგი პრინცისა, გაზ. „Times“-ის სიტყვით, ოსმალეთის სულთანია, რომელსაც განუცხადებია თურმე, რომ ყოველ ღონეს ვიღონებ, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად პრინცი გიორგი არ იქმნას დანიშნულიო.

—

**საფრანგეთი.** გაზეთების სიტყვით, ზოლას საქმის გარჩევა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში 26 იანვარს დაიწყება. ზოლას უმთავრესად სამხედრო სასამართლოს შეურაცხების ბრალი ედება. გარდა ამისა, ზოლას წინააღმდეგ საჩივარს აღძრავენ გენერლები ბუადეფრი, მერსიე, ბიიო, ქესპერტები, პატი-დე-კლამო და სხვანი, რომლებზედაც ზოლამ განაცხადა, რომ დრეიფუსს ესტერგაზის საქმე მიქომაგებით გაარჩიესო. საქმის გარჩევა უთუოდ დიდ ხანს გასტანს, რადგანაც ზოლას აზრადა აქვს 250 მოწმე დაიბაროს.

—

**სპარსეთი.** გაზ. „Спб. Вѣд.“ სწერენ სპარსეთიდგან: სპარსეთის ხაზინა იმდენად გამოცარიელებულა, რომ შაჰი მუზაფერ ედინი იძულებული ხდება გარეშე სესხს მიჰმართოს. ეს პირველი მაგალითია, რომ სპარსეთი უცხო სახელმწიფოსაგან სესხს იღებს. წინანდელი შაჰები ძალიან ერიდებოდნენ გარეშე სესხს. ეხლა კი სპარსეთს სხვა გზა არა აქვს. დეფიციტი ყოველ წლივ ჰმატულობს. შემოსავალი-კი ისევ ის არის, რაც წინად იყო.

## სასამართლოს მატიანე

თავ. ფავლენიშვილების საქმე

შაბათს, 17 იავარს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საპელლაციო საჩივარი თავ. იასე გრიგოლის ძისა და ილია მიხეილის ძის ფავლენიშვილებისა, რომელთაც იოსებ, ბესარიონ, გიორგი, ვასილი და დავით ფავლენიშვილების მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდათ, და რომელთა შორისაც იოსებ, ბესარიონ და გიორგი ფავლენიშვილები რამდენსამე ალაგას იყვნენ დაჭრილნი.

აი, ამ საქმის გარემოება: თავ. ფავლენიშვილებს გორის მაზრის სოფ. ერედვში აქვთ ტყე, რომლითაც სარგებლობა 1895 წ. მოინდომეს თავ. გ. და სხვა ფავლენიშვილთ. ამ აზრით რამდენიმე გლეხი წაიყვანეს და დაიწყეს ტყის ჩეხვა სახნავ მამულის გასაკეთებლად. თავ. ე. და ი. ფავლენიშვილებმა გაიგეს თუ არა, რომ იმათ დაუკითხავად დაუწყიათ ტყის ჩეხვა, რამდენისამე კაცით ავიდნენ ტყეში, დაუშალეს ჩეხვა და ასტყდა ჩხუბი. ჩხუბის დროს რამდენიმე კაცი იქმნა დაჭრილი. ეს საქმე ოლქის სასამართლომ განიხილა, დამნაშავედ იცნო იასე და ილია ფავლენიშვილები და გარდაუწყვიტა ყოველგვარ უფლების ჩამორთმევა და ტომსკის გუბერნიაში გადასახლება.

სამოსამართლო პალატამ მოისმინა რა ბრალდებულთა ჩვენება და იმათის დამცველის ნაფიც ვექილის გ. ს. ტერ სტეფანოვის სიტყვა, რომ თავ. ე. და ი. ფავლენიშვილები თავს იცავდნენ მოპირდაპირეთაგან და ამ თავის დაცვის დროს დასჭრეს ფავლენიშვილებიო, პატარა ხნის თათბირის შემდეგ ყველა ბრალდებულნი გაამართლა.

სასამართლოს დარბაზი გორის მაზრის თავადიშვილებით იყო სავსე და ყველანი ერთბაშად სიამოვნებით მიეგებნენ განაჩენს.

## ნაკვესი

—

— რა არის, ჩემო კარგო, სულ ვსესხულობთ და ვსესხულობთ, ხომ გავღატაკდითო,— უთხრა ცოლმა ქმარს.

— ბავშვი ხარ, სულიკოო, უპასუხა ქმარმა. ვალის აღება კი არ გაგვაღატაკებს, ვალის გადახდაო.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟში დაარსდა ახალი გაზეთი სახელად „Fronde“, რომელიც დააარსა არტისტად ნამყოფმა ქალმა ქ-მა დიურანმა. გაზეთის დამაარსებელს ქალს იმედი აქვს, რომ იმის რედაქციაში შეიკრიბებიან ხოლმე საფრანგეთის ქალები, რომელნიც იბრძვიან დედათა უფლების მოპოვებისათვის. გაზეთის თანამშრომლები და ასოთ-ამწყობნი სულ ქალები იქმნებიან. ქ-ნს დიურანს დიდ-ძალი შეძლება აქვს და მისი ახალი რედაქცია საუცხოვოდ და მდიდრულად არის მორთული. ახალ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი პირველ ხანს მუქთად უგზავნის გაზეთს საფრანგეთის ყველა სკოლებში მასწავლებელ ქალებს. პირველადვე ამ რედაქტორმა ქალმა დიდი სიუხვე დაამტკიცა. ასოთ-ამწყობმა ქალებმა დღეში 5 ფრანკი ითხოვეს და რედაქტორმა-კი დღეში 8 ფრანკი დაუნიშნა ჯამაგირად.

* * *

პარიჟში მომხდარ საჰიგიენო გამოფენას ერთმა ახალგაზდა ფრანგმა გვარად ტინდალმა წარუდგინა წყლის დასაწმენდი ახალი მანქანა. ეს მანქანა თურმე ელექტრონის ძალით სწმენდავს წყალსა. მკურნალმა რუმ გასინჯა და გამოიკვლია ეს წყალი და გამოაცხადა, რომ ამ მანქანაზედ უკეთესად დაწმენდა წყლისა შეუძლებელი არისო. პარიჟში უკვე დაარსდა ახალი საზოგადოება, რომელსაც საგნადა აქვს ამ გვარ მანქანებით დასწმინდონ წყალი მდინარე სენასი.

## გამოსადეგი ცნობა

—

**უძილობის წამალი.** ყველა წამალი, რაც-კი კაცმა აქამდე იცის, ჰშველის უძილობას, მინამ აჩვეულება შეაჩვევა წამალსა და მერე-კი იგი წამალი უქმია. უძილობის წამალი-კი, როგორც ეხლა ამბობენ, სულ უბრალო რამ ყოფილა. თუ უძილობა მარდვების სისუსტისაგან ან გონებით დაღალულობისაგან წარმოსდგება, აი რა წამალია თურმე უებარი: აიღეთ სველი პირსახოცი დაიდეთ ხოლმე კისრის ძირში ზურგის მხრიდამ. ვინც ფეხის სიცივე იცის და თავი უცხელდება და თუ ამასთან უძილობა სჭირს, უკეთესი არა იქნება-რა, რომ, როცა დასაძინებლად მიდიოდეს, ფეხები ან ჩოტკით, ან სველ, მაგრამ გაწურულ პირსახოცით იხეხოს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 იანვარი

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება საერო განათლების სამინისტროს უწყების ტეხნიკურსა და სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეთათვის განსაკუთრებულის ტანისამოსის შემოღების შესახებ.

რადგანაც გაზეთი „სიბირ“ მე-4 ნომერში გადასცდა პროგრამას ამ გაზეთისათვის დამტკიცებულს და იმის გამოც, რომ ეს გაზეთი განაგრძობს მავნე მიმართულებას, რომლის გამოც რედაქტორ-გამომცემელი ამ გაზეთისა რამდენჯერმე იქმნა გაფრთხილებული,— შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, გაზ. „სიბირის“ რედაქტორ-გამომცემელი კოლეჟსკი ასესორი კონსტანტინე მიხაილოვი მესამედ იქმნას გაფრთხილებული, ისე-კი, რომ მე-144 მუხლის სხოლიო სისრულეში იქმნას მოყვანილი.

**ბომბეი.** ბომბეის საპრეზიდენტოში, ნაზიკის მახლობლად, სინარის მცხოვრებელნი წინააღუდგნენ იმ ღონისძიებათ, რომელიც შავის ჭირის წინააღმდეგ იქმნა მიღებული. ბრბომ მოჰკლა საავადმყოფოს მმართველის თანაშემწე, დასწვა ფარდულები, დაანგრია საფოსტო, დასჭრა ტელეგრაფის მავთულები. პოლიციამ ბრბოს სროლა დაუწყო და რამდენიმე კაცი დასჭრა.

**პარიჟი.** რამდენმამე ასმა ლიცეის მოსწავლემ „Madeleine“ ეკლესიის წინ თავი მოიყარა ზოლას წინააღმდეგ მანიფესტაციების მოსახდენად, მაგრამ პოლიციამ გაჰფანტა. 30 კაცი დაპატიმრებულ იქმნა.

**პრაგა.** „ნაროდნი ობრანა“-ს საზოგადოება მთავარ-მართებელის განკარგულებით გაუქმებულ იქმნა, რადგანაც იგი გადასცდა თავისის მოღვაწეობის ასპარეზს.

19 იანვარი

**კალკუტა.** ინგლის-ინდიელთა მეოთხე ბრიგადა აფრიდიების ადგილში მტერმა მოიმწყვდია. მოკლულ იქმნა 5 ინგლისელი აფიცერი და 8 ჯარის კაცი, 2 აფიცერი და 17 ჯარის კაცი; აკლიათ კიდევ 17 კაცი. ეს ბრიგადა გზაში იყო და სხვა ბრიგიდებთან უნდა შეერთებულიყო, მაგრამ მტერმა გზა მოუჭრა.

**კონსტანტინეპოლი.** სომეხთა კომიტეტმა ლონდონში კვლავ დაურიგა ელჩებს წერილები და სთხოვს—შეგვიბრალეთო.

1 თებერვალს კრიტის კუნძულზე მოხდება საერო კრება.

აბაშეთის ელჩები სულთანმა მიიღო. სულთანმა მენელიკს უბოძა იმითიაზის ორდენი და ძვირფასი საჩუქრები.

17 იანვარს ძლიერი მიწის ძვრა იყო.

**ლეიტმერიცი.** ნემენცების სტუდენტებმა და პროფესორებმა განაცხადეს ნემენცების უმაღლესი სკოლა დაუყოვნებლივ უნდა იქმნას გადატანილი ბაგემიის იმ ნაწილში, რომელიც ნემენცებს ეკუთვნისო. გარდაწყვეტილია პრაგაში ლექციებს არ დავესწრებით, თუ ოჴშაბათამდე გაუქმებული არ იქმნება ის განკარგულება, რომლის ძალითაც აეკრძალათ სხვა და სხვა საზოგადოებათა წევრებს ნიშნების ტარება.

**ბელგრადი.** მილანი და საერო განათლებისა და იუსტიციის მინისტრები წავიდნენ ვრანიოში, სადაც გარდახდილ იქმნა დღესასწაული განთავისუფლების 20 წლის თავის შესრულებისა გამო.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ კნ. ჟულიეტა გურიელის ასულს, ბ-ნ ჟორდანიას, ბეგლარ მგელაძეს და ალექსი შარაძეს, რომელთაგან პირველმა ჯურუყვეთის სამრევლო სკოლასთან დაარსებულს წიგნთსაცავ-სამკითხველოს შემოსწირა ცხრა სხვადა-სხვა ქართული წიგნი, მეორემ—ოც-და-ცხრა, მესამემ—ექვსი, ხოლო მეოთხემ—ორმოც-და ათი წიგნი.

სამკითხველოს გამგე მღ. ეპიფანე ჩხაიძე


## განცხადებანი

**ვყიდულობ**

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებსა სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარს და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერეულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

Т-во БРОКАРЪ и К°.

ИЗОБРѢТАТЕЛИ

ПАРФЮМЕРІИ

„Персидская сирень“

О-де-колонъ.

Духи. Мыло.




Просимъ остерегаться поддѣлокъ.

(11—მ—7)